

განმარტებითი ბარათი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“

საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის პროექტზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით სანებართვო მოსაკრებელი თევზჭერაზე არ არსებობს ისე, როგორც თევზჭერა, როგორც საქმიანობა, ექვემდებარებოდა ლიცენზირებას და იგი განისაზღვრებოდა საქართველოს კანონით „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“. საქართველოს კანონი „სანაპირო თევზჭერის შესახებ“, თევზჭერის ნებართვების საფუძველზე მოიცავს ზღვის ლანდშაფტს, ზღვის ნაპირიდან 1 მილის მანძილზე. ბუნებრივ რესურსების სარგებლობისათვის არაა აუცილებელი ლიცენზია, არამედ ხსენებული კანონით პირებს უფლება ეძლევათ საქმიანობა განახორციელონ ნებართვების საფუძველზე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ პირისათვის სანაპირო თევზჭერაზე უფლების მინიჭებისათვის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებისათვის სანაპირო თევზჭერაზე მათი სახეების მიხედვით უნდა დაწესდეს მოსაკრებლის განაკვეთები. საერთაშორისო პრაქტიკით დგინდება, რომ თევზჭერაზე სანებართვო მოსაკრებლები არის სიმბოლური და დგინდება ერთი წლის ვადით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს კანონის „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ თევზჭერა ხორციელდება ნებართვების საფუძველზე, რაც ამ დრომდე აკრძალული იყო. ხსენებული კანონით, სანაპირო თევზჭერის საქმიანობის პროცესებზე კონტროლი და ზედამხედველობა მთლიანად იწარმოებს სახელმწიფო ორგანოების მიერ. ამდენად, სახელმწიფო ორგანოებზე მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის აუცილებელი ხარჯების გასაწევად საჭიროა დაწესებული იქნეს სანაპირო თევზჭერაზე სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზღვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე ნებართვების გაცემითა და მასზე აუცილებელი მოსაკრებლის განაკვეთის დაწესებით, ხელი შეეწყობათ სახელმწიფო შესაბამის ორგანოებს, უფრო გამჭვირვალედ დააწესონ სანაპირო თევზჭერაზე კონტროლი და ზედამხედველობა. ამასთან, თავიანთი ნორმატიული აქტებით განსაზღვრონ საჯარიმო სანქციები. ამით მოაწესრიგდება როგორც სანაპირო თევზჭერის საქმიანობას, ისე ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის პრინციპს.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტი მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული მოსაკრებლები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, გავრცელდება ფინანსური ზეგავლენა, რომელიც ძალიან უმნიშვნელოა და მხოლოდ სიმბოლურია. თუმცა, მას ექნება დადებითი შედეგი იმ მხრივ, რომ ყოველი პირი, ვინც ტრადიციულად დასაქმებულია თევზჭერით, ვინც მოყვარულია თევზჭერის გართობით, თავს იგრძნობს როგორც კავშირის წევრი და გაიზრდება მისი ინტერესი და აზარტი, უფრო მეტად მოექცევა საკანონმდებლო ჩარჩოში და მეტად გაათვითცნობიერებს ბუნებრივი რესურსების ობიექტებისადმი ყურადღების საჭიროებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპი)

კანონპროექტით სანაპირო თევზჭერაზე ნებართვების გაცემისათვის დაწესდება წელიწადში ერთხელ ნებართვის მიღებაზე ერთჯერადი გადასახადი და დადგენილი ოდენობით. გადასახადის ოდენობა განსაზღვრულია წესის დადგენის თანახმად საქართველოს კანონით „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ და გადახდა განხორციელდება შემუშავებული წესის თანახმად.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.